პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 26 (2746) ● კვირა, 7 თებერვალი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

გ. ბლიზნეცოვამ განაცვიფრა ფილადელფიელები

ფილადელფია, 6 თებერვალი. 10 ათასი მაყურებელი გახდა მოწმე აშშ-ის მძლეოსანთა 21-ე ტრადიციული შეჯიბრებისა, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

სენსაციური გამოდგა ხარკოველი გ. ბლიზნეცოვის გამოსვლა. მან პირდაპირ განაცვიფრა ფილადელფიელები — ჭოკით ხტომაში უკან მოიტოვა გამოცდილი მხტომელები რ. მორისი (აშშ) და რ. ტომაშეკი (ჩეხოსლოვაკია), დაძლია 488 სმ და გამარჯვებაც მოიპოვა.

სიგრძეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავდა მოსკოველ ი. ტერ-ოვანესიანს — 795 სმ. მეორე იყო ამერიკელი ჩ. მეისი — 781 სმ. სამაგიეროდ, სიმაღლეზე ხტომა მოიგო ამერიკელმა ფ. კოსტელომ — 208 სმ (მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. ბრუმელი ფილადელფიაში არ გამოსულა).

1000 იარდზე რბენის სტარტი აიღეს ამერიკელმა დ. დუნკელბერგმა, ირლანდიელმა ნ. კაროლმა, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, კანადელმა ბ. კროზერსმა, საბჭოთა მძლეოსანმა ვ. ბულიშევმა და სხვ. ფინიშთან პირველი მიიჭრა ამერიკელი — 2.14,5. ბულიშევი, რომელიც გამარჯვებულს 0,7 წამით ჩამორჩა, მესამე იყო.

თარჯრბენში ბედმა უმუხთლა ლენინგრადელ ა. მიხაილოვს: იგი დაშავდა და ბრძოლას გამოეთიშა.

ლიდერია ინგა ვორონინა!

ოულუ, 6 თებერვალი. ამ „თეთრ ქალაქში“, როგორც მას ფინელები უწოდებენ, დღეს დაიწყო მსოფლიოს 23-ე ჩემპიონატი ქალთა შორის ციგურებით სწრაფრბენაში. „რაატის“ სტადიონის ყინულზე ასპარეზობა გახსნეს 500 მეტრზე მორბენლებმა. როცა დისტანცია უკანასკნელმა წყვილმა დაამთავრა, გამოირკვა, რომ დღის საუკეთესო შედეგი — 46,8 — მოიპოვა ი. ვორონინამ. II ადგილიც საბჭოთა სპორტსმენმა — ი. ეგოროვამ დაიკავა — 47,3. ჰოლანდიელი ს. კაიზერი III ადგილზე გამოვიდა — 47,6.

1500 მეტრზე რბენაში შეუდარებელი იყო სვერდლოვსკელი ვ. სტენინა—2.27,5. უახლოეს მეტოქეს კაიზერს მან 0,7 წამით აჯობა. ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენმა ლ. ოსინცევამ III ადგილი მოიპოვა — 2.28,4.

ორი დისტანციის ჯამში ლიდერობენ: ი. ვორონინა—96,700 ქულა, ვ. სტენინა — 96,867, ს. კაიზერი — 97,0.

• • •

სურათზე: ინგა ვორონინა რბენის დროს.

ფოტო ე. ვოლკოვისა.

გუშინ...

დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს სამთო-მოთხილამურეთა პირად-გუნდური ასპარეზობა. პროგრამის უკანასკნელი სახეობა იყო ქალთა სპეციალური სლალომი. აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. გ. შახოვა (მოსკოვი) — 2.15,8; 2. ა. ივანოვა (ლენინგრადის უნივერსიტეტი) — 2.16,5; 3. გ. მალოზიომოვა (სვერდლოვსკის სამთო ინსტიტუტი) — 2.17,6.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები მოიპოვეს: უმაღლეს სასწავლებლებს შორის — 1. მოსკოვის უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა, 2. სვერდლოვსკის სამთო ინსტიტუტმა, 3. კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტმა. „ბურევესტნიკის“ I ჯგუფის საბჭოებს შორის — 1. მოსკოვის საქალაქო, 2. ლენინგრადის საოლქო, 3. უკრაინის რესპუბლიკურმა საბჭომ. საქართველო V ადგილზეა. II ჯგუფის კოლექტივებში: 1. პერმის, 2. სვერდლოვსკის, 3. კრასნოიარსკის საოლქო საბჭოებმა. ბაკურიანი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

◆

გაიმართა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის 29-ე ტური. ლონდონში ადგილობრივი „ტოტენჰემ ჰოტსპური“ შეხვდა „მანჩესტერ იუნაიტედს“. საინტერესოა, რომ მინდორზე იმყოფებოდა 8 ფორვარდი, რომლებიც ბრიტანეთის ამათუიმ ნაკრებში შედიან, მაგრამ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა „ტოტენჰემის“ მცველმა ჰენრიმ დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან.

„სტოკ-სიტიმ“, რომლის შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა 50 წლის სტენლი მეტიუზმა, დაამარცხა „ფულჰემი“ — 3:1.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ასტონ ვილა“ — „ლივერპული“ 0:1, „ევერტონი“ — „ბირმინჰემი“ 1:1, „ლეისტერ-სიტი“ — „ბლეკბერნ როვერზი“ 2:3, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ვესტ ჰემი“ 2:1, „სანდერლენდი“ — „ბლეკპული“ 1:1, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 3:1, „ბერნლი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 0:1, „ნოტინჰემ ფორესტი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 0:0, „ჩელსი“ — „არსენალი“ 2:1.

გათამაშებას 42 ქულით ლიდერობს „ჩელსი“. ამდენივე ქულა აქვს „ლიდს იუნაიტედს“, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდების გამო იგი II ადგილზეა. III ადგილზეა „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 39 ქულა. (საქ. ინფ.).

◆ სიდნეი, 6 თებერვალი. ავსტრალიელმა სპორტსმენმა ქალმა პ. კილბორნმა 80 მეტრზე თარჯრბენში მოხსნა 5 წლის წინანდელი მსოფლიო რეკორდი. ეს მანძილი მან 10,4 წამში გაირბინა.

◆ სტოკჰოლმი, 6 თებერვალი. 8 ქვეყნის — გდრ-ის, დანიის, ნორვეგიის, შვეციის, იტალიის, სსრ კავშირის, ფინეთისა და იაპონიის მოთხილამურეებს მოუყარა თავი შვეციის ქალაქ ფალუნაში ტრადიციულმა ასპარეზობამ. ბრძოლაში პირველნი ჩაებნენ ორჭიდელები. ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობეს რ. დიტელმა (გდრ) და ბ. ერიკსონმა (შვეცია) — 235,8 ქულა თვითეულს. ლენინგრადელი ე. ლოგინოვი ჯერჯერობით IV ადგილზეა — 227,7 ქულა (72,5 და 76,5 მ). ასპარეზობის პროგრამაში შედის აგრეთვე მოთხილამურე ქალთა და ვაჟთა რბოლები, ამანათრბენი და ტრამპლინიდან ხტომა.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

ქალები

გათამაშების ცხრილი

I წრის საბოლოო შედეგები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ რიგა	11	10	1	10
„ბურევესტ“. ლენინგ.	11	8	3	8
„სპარტ“. მოსკ. ოლქი	11	7	4	7
„დინამო“ კიევი	11	7	4	7
სპი თბილისი	11	7	4	7
„ურალმაში“ სვერდლ.	11	7	4	7
სკა ლენინგრადი	11	5	6	5
„სიბირიაჩკა“ ნ-სიბ.	11	5	6	5
„უნივერ.“ ტარტუ	11	4	7	4
„ტექსტილმაში“ ტაშ.	11	2	9	2
სიმ მოსკოვი	11	2	9	2
„ბურევესტ.“ როსტ.	11	2	9	2

მოგვყავს ორი გამოტოვებული შეხვედრის ანგარიში: „დინამო“ (კიევი) — „სიბირიაჩკა“ (ნოვოსიბირსკი) 58:49, „სიბირიაჩკა“ (ნოვოსიბირსკი) — სკა (ლენინგრადი) 51:49.

✦ პირველ ადგილზე — ფრანგები

პარიზი. დამთავრდა კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საფრანგეთის, ინგლისის, ლუქსემბურგისა და ისრაელის გუნდები. ბოლო ტურში ისრაელმა დაამარცხა ინგლისი (99:58), ხოლო საფრანგეთმა — ლუქსემბურგი (90:32). საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. საფრანგეთი (3 მოგება), 2. ისრაელი (2), 3. ლუქსემბურგი (1), 4. ინგლისი (0).

საბჭოთა ჩემპიონები წინ მიიწევენ

ჰელსინკი. ჩრდილოეთის ქვეყნების ჩოგბურთელთა 22-ე ღია ჩემპიონატში სუსტი მეტოქეni ალარ დარჩნენ — ისინი წინასწარმა თამაშებმა გაცხრილა.

სსრ კავშირის ჩემპიონმა თ. ლეიუსმა დაამარცხა შვეციის ახლახან დამთავრებული პირველობის ფინალისტი ლ. ოლანდერი (6:2, 6:8, 7:5) და მეოთხედფინალში გავიდა.

საუკეთესოთა ოთხეულში მოხვდა სსრ კავშირის ჩემპიონი ა. დმიტრიევა, რომელმაც მოუგო უ. სანდულს (შვეცია) და ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს რ. ლოიდს.

წყვილთა ასპარეზობაში საბჭოთა ჩემპიონები ნახევარფინალში გავიდნენ. ლეიუსი ითამაშებს რუმინელ ი. ცირიაკთან წყვილში, ხოლო დმიტრიევა — შვედ გ. როსინთან ერთად.

ბაკურიანი! ჩვენი ამ შესანიშნავი სამთო კურორტის სახელი საქვეყნოდაა ცნობილი. მშვენიერი მდებარეობის წყალობით ბაკურიანი სავსებით დაცულია ქარისგან და მზის მცხუნვარე, ულტრა-იისფერი სხივები პირდაპირ მალამოდ ეფინება გარემოს.. მრავალფეროვანი რელიეფის მეოხებით ეს აგარაკი სამართლიანად ითვლება სამთო-მოთხილამურეთა წვრთნისა და ასპარეზობის საუცხოო ადგილად.

ეს სურათებიც ზემოთქმულის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ფოტო ო. გელაშვილისა და სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

ტელეფონთანაა ბელგრადი

„ლელოს“ რედაქცია წუხელ დაუკავშირდა ბელგრადში მყოფ საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ლ. სანაძეს და თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა მწვრთნელს გ. შარაშიძეს. აი, რა გვიამბეს მათ:

„ბელგრადში 5 თებერვალს ჩამოვედით. ხელბურთელებმა უკვე ორჯერ ივარჯიშეს და ყველანი საბრძოლოდ არიან განწყობილი. აქაური გაზეთები ბევრ ადგილს უთმობენ ჩვენს ხვალინდელ მატჩს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ისინი ძალზე ოპტიმისტურად მსჯელობენ ჩვენი მეტოქის — ზაგრების „მედვეშჩაკის“ შანსებზე. იმასაც კი წერენ, რომ „მედვეშჩაკმა“, სულ ცოტა, 5-8 ბურთის სხვაობით უნდა დაგვამარცხოს.

ვცხოვრობთ სპორტბაზა „კოშუბიაკში“. დღეს გვაჩვენეს საგამოფენო დარბაზი, სადაც ჩვენს ხელბურთელებს მოუწევთ თამაში.

აქ საკმაოდ ცივა, ყინვა 10 გრადუსს აღწევს.

თამაში დანიშნულია საღამოს 9 საათზე (თბილისის დროით).

8 თებერვალს ბუდაპეშტზე გავლით გამოვემართებით მოსკოვისკენ და მეორე დღეს თბილისში ჩამოვალთ.

„მედვეშჩაკმა“ გამონახა სახსრები და იგი 11 თებერვალს ჩამოვა თბილისში ჩვენთან ხელმეორედ სათამაშოდ. გუნდს მოყვებიან გულშემატკივარი ტურისტები.

როცა გაზეთი დაიბეჭდება გზად იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზგაზე მიჯაჭვული...

დაპირება — ბაზა და ინვენტარი რომ იყოს

კარგი ტრადიცია ჰქონდათ წინდების ფაბრიკის — „კრწანისის“ ახალგაზრდებს — „განთიადის“ პირველობაზე მუდამ I ადგილს იკავებდნენ ფრენბურთში. ვიმპელები, გარდამავალი თასები, შეჯიბრებები და წარმატებები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. ყველაფერი ეს წარსულში იყო. დღეს კი...

მშვენიერი, მზიანი დღე იდგა ფაბრიკის ეზოში. შესვენება იწყებოდა. ახალგაზრდების მხიარული სიცილიც ისმოდა ირგვლივ. ეს სიხარული და მხიარულება მოქმედებას ითხოვდა. გარდა ამისა, შრომაში დახარჯული ენერგიის აღდგენაც იყო საჭირო. და აი, ერთ-ერთმა მათგანმა ბურთის მაგვარ რაღაცას გაკრა ფეხი, მეორემ გზა გადაუჭრა, ხოლო მესამემ... თავგანწირული ნახტომით ბრაგვანი მოადინა ასფალტზე.

ასე ხატოვნად გამოავლინა მშრომელი ადამიანის სხეულმა აქტიური დასვენების საჭიროება.

მაგრამ ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი 25 იანვრიდან დეკრეტულ შვებულებაშია. იქნებ ამიტომ თამაშობდნენ ახალგაზრდები ასე სტიქიურად ასფალტზე, ან ამიტომ არ ჰქონდათ ბურთი?

აი, კითხვა, რომელმაც დაგვაინტერესა. შემცვლელი არავინ იყო და ამიტომ ფიზკულტურის საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს გ. ადუაშვილს და კომკავშირის კომიტეტის მდივანს თ. მეფარიძეს მივმართეთ. მათთან საუბარში გამოირკვა, რომ ფაბრიკის 900 მუშამოსამსახურიდან მხოლოდ 400 კაცია გაერთიანებული სხვადასხვა სექციაში. საწარმოში ჩამოყალიბებულია ნადირობის, თევზჭერის, ტურიზმის ჯგუფები. კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშისა და სროლის სექციები პოპულარობით სარგებლობს ფაბრიკის მშრომელებში. ყოველ მათგანში ვარჯიშობს დაახლოებით 20-25 კაცი, ფეხბურთში კი — 50-მდე.

ეს, როგორც თქვეს.

მაგრამ ისიც არის ნათქვამი, რომ „გაგონილს ნანახი ჯობსო“ და ამიტომ ვთხოვეთ უშუალოდ გაეცნოთ საქმეები, გეგმები, მათი შესრულების მდგომარეობა. ეს, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რადგან მეთოდისტის შვებულებას თან გაჰყოლია... სეიფის გასაღებიც. სეიფში კი ყველა საჭირო საბუთი იყო გამოკეტილი. რაღა გვექნა? უკუვაგდეთ ანდაზა და ისევ გაგონილს დავჯერდით.

ფიზკულტურის კოლექტივებში

— ჩვენი ფაბრიკა ძირითადად ახალგაზრდულია. ამიტომ გასაგებია, რომ აქ სპორტს გატაცებით მისდევენ. გვაქვს სურვილი და მონდომება, მაგრამ არა გვაქვს... ბაზები, ინვენტარი. რაც მთავარია, არ გვაქვს ხელშეწყობა. მართალია, დირექცია არასოდეს არაფერზე არ გვეუბნება უარს, მაგრამ, მოგეხსენებათ, მარტო დაპირებით ვერც ივარჯიშებ, მას ვერც ბაზად გამოიყენებ და ვერც ინვენტარად. დაპირება დაპირებად რჩება, საქმე კი — გაუკეთებლად. ბაზების უქონლობის გამო მოჭიდავეებისთვის ოდესღაც შეძენილი ინვენტარი საწყობში ფუჭდება.

გ. ადუაშვილს სიტყვა ჩამოართვა საამქროების ოსტატმა ა. მარგველაშვილმა:

— ფაბრიკას კარგი სპორტსმენები ჰყავს. საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თითქმის ყველანაირ შეჯიბრებაში გამოვიდეთ. ჩვენთან არიან მოჭიდავეები და ძალოსნები, მოტოციკლისტები და მძლეოსნები. გვყავს პირველთანრიგოსანი სპორტსმენები: ცურვაში — გ. ინაშვილი, მოტოსპორტში — საქართველოს ნაკრების წევრი რ. პატიაშვილი. მაგიდის ჩოგბურთისა და სროლის სექციების ყველა წევრი თანრიგოსანია. მაგიდის ჩოგბურთელები სოხუმში ასპარეზობდნენ „განთიადის“ პირველობაზე, სადაც საერთო IV ადგილი მოიპოვეს. მაგრამ ჩვენი გულისტკივილი სულ სხვა არის. გვქონდა და აღარ გვაქვს ფეხბურთის მოედანი...

ეს არა მარტო ადუაშვილისა და მარგველაშვილის ჩივილია, არამედ უმრავლესობისა. შემდეგ საუბარი საამქროებში გადავიდა და იქაც ბიჭები ყველაზე მეტად ფეხბურთის მოედნის დაკარგვას განიცდიდნენ. გამოირკვა, რომ დირექციას მოედნის ადგილზე მშენებლობა დაუწყია და ახლა „კრწანისელები“ ფეხბურთის სიყვარულს ასფალტზე თამაშით „კლავენ“.

საამქროებში შესვენება სხვადასხვა დროს იწყება და საწარმოო ტანვარჯიშიც, ბუნებრივია, სხვადასხვა დროს ტარდება. მაგრამ ერთგან...

— თქვენ რატომ არ ვარჯიშობთ? — მივმართეთ გოგონებს.

— ადგილი არ არის. საქსოვი დაზგებია და ვარჯიში არ შეიძლება.

საქსოვი დაზგები? ისინი არც ისე ახლო დგანან ერთმანეთთან. ვფიქრობთ, ამაში უფრო მეტად უუნარობაა დამნაშავე.

მექანიკურ საამქროში გამამხნევებელი ვარჯიში დაემთავრებინათ. ახალგაზრდები კუნთებს იმაგრებდნენ „შტანგის“ აწევით. ეს ნამდვილი შტანგა არ გახლავთ. ნამდვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა (ასე იცის „კარგმა“ მეურნეობამ!) და ახალგაზრდებს თვითონ გაუკეთებიათ შტანგის მსგავსი ხელსაწყო, რომლითაც ახლა ვარჯიშობდნენ. შემდეგ კი... შემდეგ, რომ წარსულის მწარე გაკვეთილი არ გამეორდეს... ჯაჭვით აბამენ შტანგას დაზგაზე (?!).

რაც შეეხება მეთოდისტის შვებულებას, იგი მიზეზი არ უნდა გახდეს ახალგაზრდების მიერ ინერციით გაგრძელებული საქმიანობის შეჩერებისა. დროა, იზრუნონ შემცვლელ მეთოდისტზე (თუნდაც საზოგადოებრივ საწყისზე).

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით ახალგაზრდების მონდომება კვლავ სახეზეა. ახლა „კრწანისელები“ გატაცებით ვარჯიშობენ სროლის სექციაში, რომ თებერვალში სარაიონო პირველობაში დაიცვან ფაბრიკის ღირსება. მაგრამ საქმე მარტო სროლა ხომ არაა?! და მარტო ახალგაზრდობის შიშველ მონდომებას ხომ არ უნდა მივანდოთ ყველაფერი?!

ლია გოგელია.

„კითხვა“ პასუხი...

შეკითხვა: შეიძლება თუ არა მძლეოსანმა, რომელიც სპორტულ სიარულში იწვრთნება, რბენაშიც ივარჯიშოს?

გ. ნარიკაშვილი.

გორი.

პასუხი: სპორტული მოსიარულე წვრთნის დროს დარბის კიდეც, რადგან სირბილი ვარჯიშის მეტად ეფექტური საშუალებაა და სპორტსმენის ფიზიკურ განვითარებას უწყობს ხელს. რბენის გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია მოსამზადებელ პერიოდში.

რბენისა და სპორტული სიარულის შეთავსება ერთ ვარჯიშზეც შეიძლება, მაგრამ რბენამ სიარული არ უნდა დაჩრდილოს (განსაკუთრებით საშეჯიბრებო პერიოდში წვრთნისას). სპორტული სიარული სპორტსმენს დამახასიათებელ ჩვევებს გამოუმუშავებს, ამიტომ რბენა მეორეხარისხოვან როლს უნდა ასრულებდეს, — წვრთნის ძირითად საშუალებად რჩება სპორტული სიარული. რაც უფრო გამოცდილი და ტექნიკურია მძლეოსანი, მით უფრო ხშირად შეუძლია მას წვრთნისას რბენის გამოყენება.

სპორტულ მოსიარულეს შეუძლია ერთ შეჯიბრებაზე გამოვიდეს, როგორც რბენაში, ისე სიარულში (ცხადია, სხვადასხვა დღეს).

ბილიკზე არიან გოლიათები...

რაპირისტ გოგონათა ფინალში ქართველი სპორტსმენი რ. კეკელიაც გავიდა. იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავეა. შარშან, მსოფლიო პირველობაზე, მან უდიდესი ნებისყოფითა და არაჩვეულებრივი სიმშვიდით აღაფრთოვანა ფარიკაობის სპეციალისტები. მაშინ იგი ნახევარფინალში ბრძოლას 1:7-ზე აგებდა და საბოლოოდ გაიმარჯვა — 8:7.

ამ შეჯიბრებაზეც რ. კეკელიას პირველობის პრეტენდენტად თვლიდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ტრუდელ ნ. კონდრატიევასთან მოგების შემთხვევაში მას ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდა. კეკელია ბილიკზე აქტიურად მოქმედებდა. ანგარიში იყო 3:1 მის სასარგებლოდ. მაგრამ ამის შემდეგ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. კონდრატიევამ ანგარიში გაათანაბრა 3:3 (გოგონათა ფინალური ბრძოლები ოთხ ჩხვლეტამდეა). შემდეგ ორივე სპორტსმენი ფრთხილობდა, გადამწყვეტ იერიშს ვერც ერთი ვერ ბედავდა. ბოლოს კონდრატიევას ელვისებურმა შეტევამ მიზანს მიაღწია — 4:3. ექვსი გამარჯვებით იგი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზე ნ. ივანოვა („დინამო“) გავიდა, მესამეზე — რ. მიხეევა („ტრუდი“). რ. კეკელია მეოთხეზე დარჩა.

დაშნით მებრძოლთა შეჯიბრებაზე ყველაზე მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი. თუ სხვა იარაღებში არათანაბარი სიძლიერის სპორტსმენები იბრძოდნენ, აქ ძნელი იყო ფავორიტის დასახელება. მონაწილეთა შორის იყვნენ სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონი იუნიორთა შორის, სპორტის ოსტატი ო. საკანდელიძე, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკებში, სპორტის ოსტატი ვ. ლისოვსკი, გასული წლის მსოფლიო პირველობის მონაწილე გ. ზაჟიცკი და სსრ კავშირის უძლიერესი დაშნით მებრძოლი, სპორტის ოსტატი ვ. დონინი. ყოველ მათგანს საპრიზო ადგილზე გასვლის პრეტენზია ჰქონდა და ყოველი მათგანი ნერვიულობდა. ეს გასაგებიცაა: ამ შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდება სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს მსოფლიო პირველობაზე ჰოლანდიაში.

ფინალური ბრძოლებიდან ყველაზე დამამახსოვრებელი ვ. დონინისა და ო. საკანდელიძის შეხვედრა იყო. იგი მეტოქეთა განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებითაც იყო საინტერესო: ორივეს სიმაღლე 190 სანტიმეტრს აღემატება და შესაძლოა გამოუცდელ მაყურებელს ბრძოლის წინ ეფიქრა — ამათი ნახვა კალათბურთის ფარქვეშ უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე საფარიკაო ბილიკზეო. ბრძოლის პირველსავე წუთმა ეს ვარაუდი გააქარწყლა: ასპარეზზე მსუბუქად მოქმედებდა მაღალტექნიკური წყვილი, ერთნაირად ძლიერი როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ მათ შორის გამარჯვებული მხოლოდ ერთი ჩხვლეტის უპირატესობამ გამოავლინა. მინიმალური ანგარიშით — 5:4 — გაიმარჯვა საკანდელიძემ. ამ წარმატებით მან უფლება მოიპოვა I-III ადგილების გასარკვევად ხელახალ ბრძოლებში მიეღო მონაწილეობა ვ. არაქელოვთან და ა. მიხაილოვთან ერთად.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში იუნიორთა შორის

პირველად ტრუდელი მიხაილოვი და არმიელი არაქელოვი შეხვდნენ ერთმანეთს. არაქელოვმა იოლად მოიგო — 5:0. ასევე მშრალი ანგარიშით დამარცხდა საკანდელიძე მიხაილოვთან. დაძაბულად წარიმართა საკანდელიძე — არაქელოვის ბრძოლა. გაიმარჯვა საკანდელიძემ — 5:4.

მოგებულ ბრძოლათა ერთნაირი რაოდენობა! ასეთ შემთხვევაში სხვა ადგილების ბედი ჩხვლეტების რაოდენობით წყდება, ჩემპიონობა კი — მხოლოდ მოგებებით. ამიტომ კვლავ დაინიშნა დამატებითი ბრძოლა. არაქელოვმა ორივე მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. მიხაილოვმა II ადგილი დაიკავა, ხოლო საკანდელიძემ — III.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ რ. კეკელიასა და ო. საკანდელიძეს შედარებით წარუმატებლად გამოსვლის მიზეზი ვკითხეთ. მათ გვიპასუხეს:

სულ რამდენიმე დღის წინ დაგვიმთავრდა ზამთრის სესიები სამედიცინო ინსტიტუტში. გამოცდებისთვის მზადების პერიოდში ხშირად ვაცდენდით ვარჯიშს. ახლა შედარებით მეტი დრო გვაქვს. მალე გავემგზავრებით მოსკოვს, იუნიორთა მსოფლიო პირველობისთვის მოსამზადებელ საწვრთნელ შეკრებაზე, და ვფიქრობთ, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

ა. გოგელია,

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

სურათზე: რ. კეკელიას (მარჯვნივ) და ე. ნოვიკოვას შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

შემთხვევით დაკარგული ოსტატობა

ბაკურიანი, 5 თებერვალი (**ტელეფონით. ჩვენი სპეც. კორ.**). „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს სამთო-მოთხილამურეთა პირად-გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს სპორტსმენი ქალები ცუდად გამოდიან. შეჯიბრება იწურება და ვერც ერთმა მათგანმა ათეულში შესვლაც კი ვერ შეძლო. წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სტუდენტ ქალთა შორის სპორტის ამ სახეობის ნაკლებ პოპულარობაში უნდა ვეძიოთ. ეს ჩავარდნა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში წლობით გრძელდება, მაგრამ ფიზაღზრდის კათედრები მათი დაძლევისთვის ქმედით საშუალებებს არ მიმართავდნენ და ბუნებრივია, რომ „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებში წელსაც ძალიან ცუდად მომზადებულმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი.

შედარებით სხვა სურათია ვაჟთა კოლექტივში. გუნდი დაკომპლექტდა ისეთი პირველთანრიგოსნებით, რომელთაც ბრძოლა და თანრიგის ამაღლება წყურიათ. ეს ჩემპიონატმაც დაადასტურა. ასპარეზობის პირველ დღეს სწრაფდაშვებაში ბ. კახიანის დაშავების გამო მთელი სიმძიმე გუნდის სხვა წევრებს დააწვათ. ბრძოლების დაძაბულობა (ასპარეზობა ზოგჯერ 6-7 საათს გრძელდება) მათ მედგრად გადაიტანეს და კოლექტივის ინტერესების დასაცავად ყველაფერი იღონეს.

ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ჩემპიონატის მეორე დღე. ვაჟთა 1800-მეტრიანი გიგანტური სლალომის (სიმაღლეთა სხვაობა 450 მ) სტარტზე 120 სპორტსმენმა მოიყარა თავი. როგორც წესი, მონაწილეები ერთი მეორის მიყოლებით, განსაზღვრული დროის შემდეგ, იღებდნენ სტარტს, მაშინ, როცა წინ წასული ჯერ კიდევ ტრასაზე იმყოფებოდა.

ო. ხვედელიძეს სტარტი კენჭისყრამ შედარებით სუსტი მოთხილამურის შემდეგ არგუნა. საქართველოს გუნდის წევრმა დიდი სისწრაფე განავითარა და წინ წასულს ფინიშამდე დადგმულ უკანასკნელ კართან წამოეწია. და აი, წინმავალი უეცრად დაეცა. შეჯახების თავიდან აცილების მიზნით ხვედელიძე იძულებული გახდა კარი გამოეტოვებინა. ეს შემთხვევა რომ არა, საქართველოს გუნდის წევრს საპრიზო ადგილისა და მასთან ერთად ოსტატობის მოპოვების უდიდესი შანსი ჰქონდა.

◆

სურათზე: ვაჟთა სპეციალურ სლალომში III ადგილზე გამოსული ა. ჯეირანაშვილი.

ფოტო ო. გელაშვილისა.

მსაჯთა კოლეგია სამართლიანად მოიქცა, როცა უდანაშაულო ხვედელიძეს ტრასის განმეორებით გავლის უფლება მისცა. ცხადია, კოხტა-გორას წვერზე ხელახლა ასვლამ სპორტსმენს საკმაო ენერგია წაართვა, მაგრამ მან მაინც შეძლო დღის მეხუთე შედეგის — 2.02,7 — მოპოვება.

ის, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ხვედელიძემ ვერ შეძლო, ა. ჯეირანაშვილმა მოახერხა. ტურნირის მეოთხე დღეს სპეციალური სლალომის 500-მეტრიან ტრასაზე ვაჟებს ორი ცდით 70 და 68 კარი უნდა გაევლოთ. ჯეირანაშვილმა ორივე ცდაზე მებრძოლის შესანიშნავი თვისებები გამოავლინა, ორჯერვე უნაკლოდ გაიარა დისტანცია, მოიპოვა III ადგილი და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ იგი მოპოვებულია 7-საათიან ბრძოლაში, რომელსაც თოვა და ქარიც აძნელებდა.

ვაჟთა ტურნირში კარგი შედეგები მოიპოვა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადაში ჭაბუკთა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა, ამჟამად პერმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. შეინმა. მან სწრაფდაშვებაში II ადგილი დაიკავა, ხოლო შემდეგ ყველა მეტოქეს დიდი უპირატესობით მოუგო დანარჩენი დისტანციები. გიგანტურ სლალომსა და სპეციალურ სლალომში შეინმა II ადგილებზე გამოსული ვ. გლუხიხი (თათართა ასსრ) შესაბამისად 12 და 13,6 წამით ჩამოიტოვა უკან.

ქალთა ტურნირს ამ შეჯიბრებაზე ორი მთავარი ფავორიტი ჰყავს — სვერდლოვსკის სამთო ინსტიტუტის სტუდენტი გ. მალოზიომოვა და ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ა. ივანოვა. სწრაფდაშვებაში ჩემპიონობის მოპოვების მერე სვერდლოვსკელი გიგანტური სლალომის ფინიშისკენაც გამარჯვების რწმენით მიიწევდა. ერთ-ერთ მოსახვევში სპორტსმენი თხილამურებმა გაიტაცა, იგი ტრასას აცდა და „კალაპოტში“ ჩადგომისთვის ძვირფასი დრო დაკარგა. მისი შედეგია 2.03,6. მეტოქის „წაბორძიკებამ“ ივანოვას საშუალება მისცა რევანში აეღო სწრაფდაშვებაში დამარცხებისთვის — 2.03,0.

ამრიგად, მათ ჯერჯერობით თითო პირველი და თითო მეორე ადგილი აქვთ. გადამწყვეტ სიტყვას ტურნირის უკანასკნელ დღეს გამართული სპეციალური სლალომი იტყვის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის სტუდენტ-მოთხილამურეთა ტექნიკური მაჩვენებლები საგრძნობლად ამაღლდა. მაგრამ, სამწუხაროდ, სტარტზე გამოსული 200-მდე სპორტსმენიდან ერთი ათეული თუ უახლოვდება საერთაშორისო კლასს.

შ. ნავერიანი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

[illegible]

● **ზესტაფონი**

აქ გაიმართა ამხანაგური შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში წყალტუბოსა და ზესტაფონის სპორტსკოლებს შორის. მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 3:3. წყალტუბოს ფრენბურთელმა გოგონებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1, ხოლო ვაჟებში თავი გამოიჩინეს მასპინძლებმა — 2:0. კალათბურთელთა შეხვედრაში გაიმარჯვეს ზესტაფონელმა ვაჟებმა (55:40) და წყალტუბოელმა გოგონებმა (31:18).

ა. ბანუჩავა.

მეცხრე ტურში...

ფრენბურთელთა საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა IX ტური. ამ ტურში საქართველოს სამივე კოლექტივი დამარცხდა: დონეცკში — სოხუმის „კოლმეურნის" ქალთა გუნდი — კრასნოდარის „დინამოსთან" — 1:3 (15:17, 3:15, 15:13, 7:15), გომელში — თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა კოლექტივი — ალმა-ათის ადკ-სთან — 0:3 (5:15, 5:15, 11:15), ხოლო ლუგანსკში — თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდი — კიევის „ლოკომოტივთან"—0:3 (6:15, 10:15, 9:15).

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა შედეგები:

ვაჟები

ლუგანსკი. „ალგა" (ფრუნზე) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 2:3, „რადიოტექნიკი" (რიგა) — სკა (რიგა) 3:1, ვინიცა — „კალევი" (ტალინი) 3:0, „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) — კიშინიოვი 3:0, „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:0.

ქალები

დონეცკი. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დაუგავა" (რიგა) 1:3, „სპარტაკი" (ხარკოვი) — „სპარტაკი" (მინსკი) 0:3, ცსკა — „ალგა" (ფრუნზე) 3:0, „დინამო" (ჩერნოვცი) — „ზახმეტი" (აშხაბადი) 1:3.

გომელი. კიშინიოვი — „სპარტაკი" (ირკუტსკი) 0:3, „კალევი" (ტალინი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 3:1, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი) 2:3, „ბურევესტნიკი" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 2:3, „კიროვეცი" (ნოვოსიბირსკი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო) 3:2.

50 წლის წინათ, ჩოხატაურში...

წარსულის ფურცლებიდან...

იდგა 1914 წელი. მაშინ საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობა სწავლობდა იურიევში (ახლანდელი ტარტუ), მოსკოვის, პეტერბურგის, ვარშავისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში და საარდადეგოდ ჩამოდიოდა სამშობლოში. იმ ზაფხულს ჩოხატაურში ჩამოსული იყვნენ არა მარტო იქაური სტუდენტები, არამედ სტუმრებიც ბათუმიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, ზესტაფონიდან... ისინი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, აყალიბებდნენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, მართავდნენ კონცერტებს, ლიტერატურულ საღამოებს, გამოდიოდნენ ლექცია-მოხსენებებით, ღარიბ სტუდენტთა და მოსწავლეთა დასახმარებლად ნებაყოფლობითი წესით აგროვებდნენ ფულს და ა. შ. სოფლებში გვიან ღამემდე ისმოდა სიმღერისა და ტაშფანდურის ხმა.

დიდ ხალისს იწვევდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის სპორტული თამაშობანი, განსაკუთრებით ლელობურთი. იმ ხანებში ბათუმში ფართო გავრცელება ჰქონდა ფეხბურთს და ერთ მშვენიერ დღეს ბ. მეგრელიძისა და ს. თავართქილაძის წინადადებით ბათუმს გავემგზავრეთ მე და მ. სიხარულიძე. იქ უნდა შეგვეძინა საფეხბურთო ფორმა და ინვენტარი. სამგზავრო ფულით „შეგვაიარაღა" ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ამჟამად აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა.

ბათუმში დავყავით ოთხი დღე, და ნ. სიხარულიძის, მ. ჩხიკვაძისა და ე. ბერძენიშვილის დახმარებით შევიძინეთ რაც საჭირო იყო. ჩვენს ჩამოსვლას ჩოხატაურში დიდის ამბით შეხვდნენ. მაშინვე ჩამოყალიბდა გუნდები, როგორც აქ, ისე სოფ. ფარცხმაში. ფეხბურთის პირველი ენთუზიასტები იყვნენ ზ. მეგრელიშვილი, შ. მეგრელიშვილი, ვ. დუმბაძე, პ. დოლიძე, შ. კალანდაძე, ო. ცინცაძე, დ. ჩხიკვაძე, თ. ოსიძე, გ. ბერძენიშვილი, გ. სიხარულიძე, ტ. გოგოლაძე, გ. ფოფხაძე, ა. ძნელაძე, ქ. ივანოვი და სხვ. შაბათობით ვარჯიში გვქონდა, ხოლო კვირაობით, როგორც წესი, ემართავდით თამაშს, რომელსაც საკმაოდ ბევრი მაყურებელი ესწრებოდა. მათს შორის მუდამ იყო ნიკო ბერძენიშვილი.

მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო. დღეს, როცა ყველას გვიხარია ქართველ ფეხბურთელთა დიდი გამარჯვება, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ თავიანთი წვლილი საერთო საქმეში ოდესღაც ჩოხატაურელმა ახალგაზრდებმაც შეიტანეს.

მ. ცინცაძე,
პენსიონერი.
ჩოხატაური.

ამ დღეებში თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დიდი „სპექტაკლები" იმართება. რესპუბლიკური მასობრივი ტურნირის მონაწილენი დიდი მოწადინებით იბრძვიან პირველი 8 ადგილისათვის, რაც საქართველოს მცირე ჩემპიონატში თამაშის უფლებას იძლევა.

სურათზე: მიმდინარეობს მორიგი ტური.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საქართველოს სსრ რეკორდები ძალოსნობაში

1965 წლის 1 იანვრისათვის

აჭიმვა ორი ხელით

უმჩატესი წონა — 97,5 კგ ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო"), 1962 წ.
მჩატე — 100 ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო"), 1964.
ქვემსუბუქი — 110 ა. სურმანიძე (ბათუმი), 1961.
მსუბუქი — 120 გ. მკრტჩიანი (თბილისის „დინამო"), 1964.
ქვესაშუალო — 136 გ. კოჩიევი (ცხინვალის „სპარტაკი"), 1964.
საშუალო — 147,5 გ. კოჩიევი (ცხინვალის „სპარტაკი"), 1964.
ქვემძიმე — 146,5 გ. მიმინოშვილი (თბილისის „დინამო"), 1964.
მძიმე — 148 კ. ებრალიძე (თბილისის „დინამო"), 1964.
ზემძიმე — 170 მ. კალაშიანი (თბილისის „დინამო"), 1964.

ატაცი ორი ხელით

უმჩატესი — 85 ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო"), 1963.
მჩატე — 102,5 რ. დათიკაშვილი (თბილისის „კოლმეურნე"), 1958.
ქვემსუბუქი — 110,5 რ. ჩიმიშკიანი (თბილისის „დინამო"), 1957.
მსუბუქი — 110,5 ნ. ინჯგია (თბილისის „განთიადი"), 1962.
ქვესაშუალო — 123 ვ. რადიმაშვილი (თბილისის „განთიადი"), 1960.
საშუალო — 128 ზ. პაპიძე (საჩხერის „კოლმეურნე"), 1964.
ქვემძიმე — 133,5 კ. ბაზაძე (თბილისის „სპარტაკი"), 1964.
მძიმე — 135 საწყისი ნორმატივი.
ზემძიმე — 135 მ. მინასიანი (თბილისის „დინამო"), 1958.

აკვრა ორი ხელით

უმჩატესი — 112,5 ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო"), 1963.
მჩატე — 125 რ. დათიკაშვილი (თბილისის „კოლმეურნე"), 1963.
ქვემსუბუქი — 145 რ. ჩიმიშკიანი (თბილისის „დინამო"), 1960.
მსუბუქი — 146 ლ. ბაბაიანი (თბილისის „სპარტაკი"), 1961.
ქვესაშუალო — 171,5 გ. კოჩიევი (თბილისის „კოლმეურნე"), 1963.
საშუალო — 175 გ. კოჩიევი (ცხინვალის „სპარტაკი"). 1964.
ქვემძიმე — 172,5 ზ. პაპიძე (საჩხერის „კოლმეურნე"), 1964.
მძიმე — 176 დ. მუშკუდიანი (თბილისის „განთიადი"), 1964.
ზემძიმე — 173 გ. სანიკიძე (თბილისის „განთიადი"), 1964.

სამჭიდი

უმჩატესი — 292,5 ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო"), 1963.
მჩატე — 317,5 რ. დათიკაშვილი (თბილისის „განთიადი"), 1963.
ქვემსუბუქი — 355 რ. ჩიმიშკიანი (თბილისის „დინამო"), 1958.
მსუბუქი — 365 გ. მკრტჩიანი (თბილისის „დინამო"), 1963.
ქვესაშუალო — 415 გ. კოჩიევი (თბილისის „კოლმეურნე"), 1963.
საშუალო — 445 გ. კოჩიევი (ცხინვალის „სპარტაკი"), 1964.
ქვემძიმე — 437,5 ზ. პაპიძე (საჩხერის „კოლმეურნე"), 1964.
მძიმე — 450 დ. მუშკუდიანი (თბილისის „განთიადი"), 1964.
ზემძიმე — 447,5 მ. კალაშიანი (თბილისის „განთიადი"), 1964.

თვალის ერთი გადავლებითაც საკმარისია დაინახოთ, რომ რესპუბლიკის რეკორდები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკავშირო რეკორდებს, ხოლო მსოფლიო მიღწევებზე ლაპარაკიც ზედმეტია! თუ რამდენიმე წლის წინათ რ. ჩიმიშკიანი ერთადერთი სპორტსმენი იყო რესპუბლიკაში, რომელსაც ტოლი არ ჰყავდა არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მსოფლიოშიც, ახლა მის მიერ ნაჩვენები შედეგები ათეულობით სპორტსმენისთვისაა ხელმისაწვდომი. მაგრამ რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში ჩიმიშკიანის მიღწევები ხელუხლებელია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში სათანადოდ არ ზრუნავენ ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოსავლენად და აღსაზრდელად. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საკავშირო სარბიელზე გ. კოჩიევის, ზ. პაპიძის, დ. მუშკუდიანისა და კიდევ თითო-ოროლა სპორტსმენის გარდა, თავი არ გამოგვეჩინა.

1965-1968 წლების ერთიანი საკავშირო კლასიფიკაციის სავარაუდო ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმას სამჭიდში ვერ აკმაყოფილებს ვერც ერთი რესპუბლიკური რეკორდი, ხოლო სპორტის ოსტატის ნორმას ყველა წონით კატეგორიაში მცირედით აღემატება (ზემძიმე წონაში კი ზუსტად უდრის).

ეს მდგომარეობა პირდაპირ შეუწყნარებელია. თითქმის კარზეა მომდგარი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ღირსეულად დავიცვათ რესპუბლიკის ღირსება სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმზე.

საქართველოს „თეთრი მარგალიტი" ბაკურიანი ანდამატივით იზიდავს ახალგაზრდობას.

სურათზე: ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე დოდო ჩიქვანაია თხილამურებით სეირნობის შემდეგ.

ფოტო სპორტის ოსტატ
ბ. კამენსკისა.

ვარსკვლავი

იუმორესკა

მოხერხებული კაცია „თანამგზავრის" მწვრთნელი ლავრენტი ჩემია. თუ სადმე დიდი გუნდიდან განთავისუფლებულ ვარსკვლავს წააწყდა, ფეხქვეშ ისეთ ფიანდაზებს გაუშლის, აუცილებლად გადაიბირებს... ამჯერადაც მოსკოვიდან დაბრუნებული ვარსკვლავ-მეკარისთვის იბრძოდა. გოლკიპერი სულ ახლახან ჩამოვიდა თბილისში და, როგორც გამოირკვა, მუშაობა კულტურის სამინისტროში დაეწყო. საქმე ჩემიას, რა თქმა უნდა, წინასწარ ჰქონდა გაჩარხული, ოღონდ განყოფილების გამგის ნებართვაღა აკლდა.

— მოდი, დავრეკავ, — გაიფიქრა მან. — ზეგ გადამწყვეტი თამაშია, სულზე მომისწრებს.

— ალო, კულტურის განყოფილებაა? — იკითხა ჩემიამ ყურმილში, — მე პეტრე სამსონიჩი მინდა. ჩემია ვარ, № რაიონიდან.

— დიახ, მე ვარ, რა გნებავს, ჩემია ჩემო?

— მე, პეტრე სამსონიჩ, ერთი პატარა საქმისთვის გაწუხებთ... თქვენ ჩვენებური კაცი ბრძანდებით და ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი რაიონის ამბავი... პურს ნუ აჭმევ, წყალს ნუ დაალევინებ, ჰაერს ნუ ასუნთქვინებ, მაგრამ ფეხბურთს აყურებინე.

— უფრო მოკლედ კი, ჩემია ჩემო?

— აი, მე, პეტრე სამსონიჩ, მეკარის თაობაზე... მოსკოვიდან რომ...

— შე კაცო, — შეაწყვეტინა გამგემ, — ასე გეთქვა თავიდან. მაგაზე დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ გამოგიგზავნით, აუცილებლად გამოგიგზავნით. ჩემს მშობლიურ რაიონს უარს ვერ ვეტყვი.

— პეტრე სამსონიჩ, დრო არ ითმენს, ზეგ...

— კი, შენი ჭირიმე, ზეგ, დილის თერთმეტზე თქვენთან იქნება მანქანა.

კვირას, თერთმეტის ნახევარზე, ყვავილების თაიგულებით აღჭურვილი გუნდი თბილისის გზატკეცილზე იდგა.

— ლავრენტი, — ეუბნებოდა გუნდის უფროსი ჩემიას. — ძველი მეკარე გავანთავისუფლეთ უკვე. ხუთ საათზე თამაში გვეწყება. ამიტომ პირდაპირ სტადიონზე წავიყვანოთ.

— რა თქმა უნდა, დიდი მოთელვა დაჭირდება ნამგზავრს, — უპასუხა ჩემიამ.

— მგონი ის უნდა იყოს! — წამოიძახა გუნდის უფროსმა და ხელი მოსახვევისაკენ გაიშვირა.

— აბა, ასწიეთ თაიგულები და ჩამწკრივდით გზაზე! — ბრძანა მწვრთნელმა.

მძღოლმა როგორც კი შენიშნა გადაღობილი გზა, მანქანა დაამუხრუჭა.

— თბილისიდან ხარ? — ჰკითხა გუნდის უფროსმა მძღოლს.

— თბილისიდან გახლავართ, — უპასუხა მძღოლმა.

— სად არის ჩვენი მეკარე? — თქვა ჩემიამ.

— აქ ბრძანდება, — მიუგო მძღოლმა.

— იმ ბარგის უკან?

— აი, იმ ყუთშია მეკარე.

— ბიჭო, რა ყუთი?! რომელი მეკარე?!.

— ვა-ახ! იაშინი ჩამოგიყვანე შენმა მზემ, რომელი და „მეკარე", მხატვრული ფილმი...

გ. კაკაბაძე



ავტომძღოლთა შეჯიბრება
ნახ. გ. ფირცხალავასი.



დაინტერესდა...
ნახ. ა. ერაძისა.

კიდევ ერთი მესხი!

Დიდი დაშორებით მდებარეობს თბილისიდან უსტ-ნერა, იაკუტიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრი. 10 ათასი კილომეტრი აცილებს ამ მკაცრ, სუსხიან მხარეს თბილი სამხრეთისაგან, მაგრამ ფეხბურთი იქაც ისევე უყვართ, როგორც საქართველოში. იაკუტელები გატაცებით თამაშობენ ბურთს და თვალს ადევნებენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდებს.

ამას წინათ ჩვენს რედაქციაში შორეული იაკუტსკიდან მოვიდა იქაური გაზეთის — „სოციალისტური იაკუტიის“ ერთ-ერთი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ვ. ნიკოლაევის წერილი — „იზრდება ვეტერანთა ცვლა“. აქვეა სურათიც: ფეხბურთელის სრულ ფორმაში გამოწყობილი პატარა ბიჭუნა ზუსტი მოძრაობით ეუფლება ბურთს. ეს გახლავთ 5 წლის ფეხბურთელი ვიქტორ მესხი.

დიდი ხანია შორეულ ჩრდილოეთში მუშაობს ვ. მესხი. თავის დროზე იგი თამაშობდა ხაბაროვსკის, კომსომოლსკისა და იაკუტიის გუნდებში, ახლა კი დიდი ფეხბურთისთვის ამზადებს თავის შვილს ვიქტორს, რომელსაც ალერსით ხვიჩას ეძახიან.

შარშანდელ ზაფხულს, როცა უსტ-ნერაში საფეხბურთო სეზონი იხსნებოდა, ბურთზე პირველი დარტყმის საპატიო უფლება სწორედ ამ პატარა მესხს მიეცა. მას თავდავიწყებით უყვარს ბურთი და უკვე ახლა ფლობს საკმაოდ რთულ ტექნიკურ ილეთებს. როცა იგი ვარჯიშობს, უფროსები იღიმებიან:

— მიმდინარეობს წვრთნა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის!

...ვინ იცის, იქნებ შორეულ უსტ-ნერაში იზრდება კიდევ ერთი დიდი ფეხბურთელი მესხი — ვიქტორ მესხი.

СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ ЯКУТИЯ

„სანტოსის“ წარმატება

სანტ-იაგო. აქ დამთავრდა ფეხბურთელთა 6 გუნდის საერთაშორისო ტურნირი. დასკვნით ტურში ბრაზილიის „სანტოსმა“ დაამარცხა „უნივერსიდად დე ჩილი“ (3:0) და 8 ქულით პირველობა გაინაღდა.

გამარჯვებულს 1 ქულით ჩამორჩა არგენტინის „რივერ პლეიტი“. მესამე ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელმაც ბოლო დღეს მოუგო „უნივერსიდად კათოლიკას“ — 4:2.

გერმანელთა იდეალური ნაკრები

Მას შემდეგ, რაც მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი დასავლეთ ბერლინში გფრ-ის ნაკრებსა და შვედებს შორის ფრედ (1:1) დამთავრდა, მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი შეიძლება ინგლისის საგზურის გარეშე დარჩეს. ასეთივე აზრი გამოთქვა თვით გერმანელთა ყოფილმა მწვრთნელმა ზ. ჰერბერგერმაც. მისი სიტყვით, საპასუხო მატჩი სტოკჰოლმში ძალზე მძიმე იქნება.

გერმანელთა ახლანდელი მწვრთნელი ჰ. შოენი უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი, მაგრამ მას მიაჩნია, რომ შვედების დასამარცხებლად საჭიროა ძალების სრული მობილიზაცია, ე. ი. იტალიაში მოთამაშე „ვარსკვლავების“ გამოწვევა. ეს კი ძალიან ძნელი საქმეა. გერმანელი „ლანდსკნეხტების“ იტალიელ მეპატრონეებს არაფრად აინტერესებთ მსოფლიო ჩემპიონატი. მათთვის მთავარია თავიანთი ეროვნული ჩემპიონატი, ამიტომ შოენმა იცის, რომ დიდი ბრძოლა მოუწევს ფეხბურთელთა დასაბრუნებლად.

აი, როგორ გამოიყურება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იდეალური ნაკრები შოენის წარმოდგენით: მეკარე ტილკოვსკი, მცველები — ნოვაკი, გიზემანი და შნელინგერი, ნახევარმცველები — შულცი და შიმანიაკი, თავდამსხმელები — ბრუნემაიერი, კრამერი, ზეელერი, ოვერატი და დერფელი.

ამათგან, შნელინგერსა და ორივე ნახევარმცველს იტალიიდან დახსნა ესაჭიროებათ.

Československý sport **DEUTSCHES sportecho AM DIENSTAG** **Спорт У УТОРАК**

ბევრი საზრუნავი

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა **დენის ფოლოუსმა** ამას წინათ მიიღო ჟურნალისტები და ესაუბრა მათ მომავალი მსოფლიო პირველობისათვის მზადების გარშემო.

ვაქვეყნებთ საუბრის ტექსტს.

ასოციაციის მდივანი ესაუბრება ჟურნალისტებს

● **შეკითხვა:** საბოლოოდ დაზუსტდა თუ არა ჩემპიონატის თარიღები და მატჩების ჩატარების ადგილები?

— ფინალური მატჩები გაიმართება 1966 წლის 12-30 ივნისს. ამ ხნის მანძილზე ჩატარდება 32 შეხვედრა. საფეხბურთო ბატალიების ძირითადი ცენტრი იქნება ლონდონი თავისი ორი სტადიონით „უემბლითა“ და „უაიტ სიტით“. მატჩები გაიმართება ინგლისის სხვა ქალაქებშიც.

● **შეკითხვა:** ხომ არ შეიცვლება შეხვედრათა განრიგი?

— მოსალოდნელია ზოგიერთი ცვლილება. ფინალური მატჩი ნამდვილად „უემბლიზე“ გაიმართება. აქვე ჩატარდება III ადგილის გამოსავლენი მატჩი. სულ ლონდონის ცენტრალურ სტადიონზე ნავარაუდევია 9 შეხვედრის მოწყობა.

● **შეკითხვა:** ხომ არ აპირებთ სტადიონების შეკეთებასა და მოდერნიზებას?

— ინგლისის სტადიონები ძირითადად უპასუხებენ თანამედროვე სპორტულ მოთხოვნებს. მსოფლიო ჩემპიონატს მოემსახურება ის ბაზები, რომლებიც, სულ ცოტა, 60 ათას მაყურებელს იტევენ. 10 ათასი ადგილი დაემატება მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სტადიონს. რეკონსტრუქციის შემდეგ იგი მოემსახურება 75 ათას კაცს.

● **შეკითხვა:** როგორ იქნება ორგანიზებული ჩემპიონატზე სატელევიზიო სამსახური?

— ტელევიზიის წყალობით სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივრები ყოველდღიურად იქნებიან საფეხბურთო ბატალიების მოწმენი. სატელევიზიო დანადგარებისთვის, ცხადია, გამოიყოფა ყველაზე მოსახერხებელი ადგილები, რაც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ გამოსახულების იდეალურ ხარისხს. ჩემპიონატის დღეებში ჩვენი ტელევიზია რეგულარულად იქნება ჩართული ევროხედვასა და ინტერხედვაში.

● **შეკითხვა:** რა მიგაჩნიათ ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში ძირითად პრობლემად?

— ჟურნალისტთა მომსახურება და ე. წ. საერთაშორისო პრესცენტრის მუშაობისთვის იდეალური პირობების შექმნა. პრესის, რადიოსა და კინოს ცენტრალური შტაბი იქნება „უემბლის“ სტადიონზე. აქ მოთავსდება საერთაშორისო სატელეფონო სადგურიც. ყველაფერი ისეა ნავარაუდევი, რომ ჟურნალისტებმა შეძლონ ტურნირის მსვლელობის ოპერატიული გაშუქება.

საერთაშორისო ტურნირი იუგოსლავიაში

20-27 ივნისს იუგოსლავიაში გაიმართება ჭაბუკ ფეხბურთელთა XIII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. მასპინძლებმა მოიწვიეს „ფერენცვაროში“ (უნგრეთი), „დუკლა“ და „სპარტაკი“ (ორივე — ჩეხოსლოვაკია), „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია), „ბოლონია“ (იტალია), „რესინგა“ (საფრანგეთი) და ცდნა (ბულგარეთი).

იუგოსლავიის მხრივ ასპარეზობაში ჩაებმებიან „დინამო“ (ზაგრები), „ჰაიდუკი“ (სპლიტი), „პარტიზანი“, „ცრვენა ზვეზდა“ (ორივე — ბელგრადი), „რიეკა“, „ორიენტი“ (ორივე — რიეკა), „რუდარი“ (ლაბინი) და „ისტრა“ (პულა).

ტურნირში გამარჯვებულს გადაეცემა ზაგრების ცნობილი სპორტული გაზეთის „სპორტსკე ნოვოსტის“ თასი, რომელსაც ამჟამად „რიეკა“ პატრონობს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ერთი ბიოგრაფიული ლექსიკონის ხარვეზები

Საზღვარგარეთ მიღებულია და დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში უკვე რამდენიმე გამოცემად დაბეჭდილია ე. წ. ბიოგრაფიული ლექსიკონები. ბიოგრაფიულ ლექსიკონებში, ჩვეულებრივ, მოთავსებულია შესაბამისი ქვეყნის გამოჩენილ ცოცხალ პიროვნებათა მოკლე ბიოგრაფიები, მათი ადგილსამყოფელისა და მისამართების მითითებით. ეს გამოჩენილი ადამიანები მიეკუთვნებიან ხელოვნების, დიპლომატიის, მეცნიერების, პოლიტიკის, სპორტის და სხვა სფეროებს.

ჩვენს წინაშეა 1962 წელს მიუნხენში საბჭოთა კავშირის შემსწავლელი ინსტიტუტის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული საბჭოთა კავშირის ბიოგრაფიული ლექსიკონი: Who's who in the USSR 1961/62, A biographical dictionary prominent personalities in the Sovjet Union, compiled by the Jnstitute for the study of the USSR, Munich, Germany, edited by Dr. Heinrich E. Schulz and Dr. Stephen S. Taylor, published by Jntercontinental book and publishind co., LTD, 1962.

საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკების გამოჩენილ პიროვნებათა გვერდით ამ ლექსიკონში საქართველოს ცნობილ ადამიანებსაც აქვთ დათმობილი ადგილი. აქ ვხვდებით თითქმის ყველა დარგის (მედიცინა, მუსიკა, ტექნიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა და ა. შ.) წარმომადგენლებს.

მაგრამ ჩვენ ამჟერად გვაინტერესებს საკითხი, თუ როგორ არიან წარმოდგენილი ამ ბიოგრაფიულ ლექსიკონში ქართველი სპორტსმენები. საყოველთაოდ ცნობილია ქართული სპორტის დიდი წვლილი საბჭოთა სპორტში. ჩვენი სპორტსმენების სახელი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაცაა განთქმული. სპორტის ისეთი დიდოსტატები, როგორიც არიან მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში როსტომ აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვლადიმერ რუბაშვილი, გამოჩენილი ფეხბურთელები სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და ბევრი სხვაც (რომელთა სრული ჩამოთვლა შეუძლებელია), დაამშვენებდნენ საერთაშორისო მასშტაბის უბრწყინვალეს სპორტსმენთა ნებისმიერ სიას.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნახსენებ ბიოგრაფიულ ლექსიკონში ქართველ სპორტსმენებს უსამართლოდ მცირე ადგილი აქვთ დათმობილი. ლექსიკონში ვხვდებით მხოლოდ სამ ქართველ სპორტსმენს: გივი კარტოზიას, რობერტ შავლაყაძეს და ავთანდილ ქორიძეს.

ამას გარდა, ლექსიკონში არ არის გამოყენებული ბიოგრაფიების შედგენის ერთიანი პრინციპი. ზოგჯერ ამა თუ იმ პიროვნების ბინის ზუსტი მისამართია მითითებული, ზოგჯერ კი მხოლოდ ის საზოგადოება, რომელსაც ეს სპორტსმენი ეკუთვნის, უფრო მეტიც, — რ. შავლაყაძეზე ვერაფრით ვერ მიხვდება მკითხველი, რომ ის ქართველი სპორტსმენია. მისამართადაც რატომღაც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციაა მითითებული. გ. კარტოზიას მისამართი ასეთია: თბილისი, საქართველოს სსრ, სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკი“. გ. კარტოზიაზე წერია, რომ დაიბადა 1929 წელს თბილისში, ხოლო რ. შავლაყაძის დაბადების თარიღზე და ადგილზე კი — არაფერი. ა. ქორიძის მისამართადაც „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციაა მითითებული.

არის სხვა ხასიათის შეცდომებიც (მაგალითად, სალნიკოვზე წერია, ამჟამად მოსკოვის „დინამოში“ თამაშობსო). ფეხბურთელთაგან რატომღაც მხოლოდ ნეტო, ივანოვი და სალნიკოვი არიან წარმოდგენილნი. სად არის, მაგალითად, იაშინი?!

ასეთი ხასიათის ლექსიკონის შედგენისას საჭირო იყო მეტი სიზუსტე და სიფხიზლე, თორემ ლექსიკონი, რომელშიც 5-6-სტრიქონიანი ბიოგრაფიებია მოცემული, კარგავს თავის დანიშნულებას და მნიშვნელობას.

შ. გუნარიძე.

თინუსი—რეკორდსმენი

როგორია დანიაში თევზჭერის რეკორდები?

ამ შეკითხვაზე უპასუხა დანიის თევზჭერის მოყვარულთა საზოგადოებამ. მან 7 რეკორდი აღნიშნა. მათ შორის აბსოლუტურია... თინუსის წონა — 372 (!) კილოგრამი. მეთევზეების დანარჩენი მიღწევები ასეთია: ვირთევზა — 23 კგ, ორაგული — 26,5, ქარიყლაპია — 22, ზღვის კალმახი — 14,4, მტკნარი წყლის კალმახი — 5,6 და ქორჭილა — 2.8 კგ.

საიდან გვატყობინებენ

ბაქოში ახლახან დამთავრდა საკავშირო ზონალური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდობის სპორტსკოლათა ნაკრებ გუნდებს შორის, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები.

სურათზე: საშუალო წონის მოჭიდავეთა — ო. თარგამაძისა (ასრულებს გდებას) და ბაქოელ ა. სავჩენკოს შეხვედრა. გაიმარჯვა თარგამაძემ.

ფოტო ლ. ბედოშვილისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

9 თებერვალს საქართველოს ალპური კლუბის შენობაში მოეწყობა ალპინიზმის ინსტრუქტორთა შეკრება.

ყველა ინსტრუქტორის დასწრება სავალდებულოა.

დასაწყისი 19 საათზე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05440